ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 254

“ 1 ” ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ში, (ნაკვეთი 31/026) (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.026.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ში, (ნაკვეთი 31/026, საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.026.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 სექტემბრის №20.1068.1324 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ში, (ნაკვეთი 31/026), პირველ სართულზე, შენობა №1-ში, მდებარე 74.37 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.026.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ლილი ბექაურისთვის (პ/ნ: 01012008962) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე